ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 151

"15" აპრილი 2022 წ.

ქ. თბილისი

ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირი №31-41-ის მიმდებარედ არსებული 193 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: №01.16.05.026.024) 31 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით მანანა ქვათაძისთვის (პ/ნ. 01030002340) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის და 122[1] მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირი №31-41-ის მიმდებარედ არსებული 193 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: №01.16.05.026.024) 31 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით მანანა ქვათაძისთვის (პ/ნ. 01030002340) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2022 წლის 13 აპრილის №22.518.581 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირი №31-41-ის მიმდებარედ არსებული 193 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: №01.16.05.026.024) 31 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით მანანა ქვათაძისთვის (პ/ნ. 01030002340) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემაზე.

2. შეთანხმდეს მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასური - 5 580 (ხუთი ათას ხუთას ოთხმოცი) ლარის ოდენობით.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე